

**ზოგიერთი სახის საგანმანათლებლო დანიშნულებისათვის საჭირო ინვენტარის 2021 წლის
კონსოლიდირებული ტენდერ(ებ)ის სატენდერო კომისიის სხდომის
ოქმი № CON210000365-3**

ქ. თბილისი

„8“ ოქტომბერი, 2021 წელი

სხდომას ესწრებოდნენ:

ლევან რაზმაძე - სსიპ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარე, სატენდერო კომისიის თავმჯდომარე;

ილია ბეგიაშვილი - საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრის პირველი მოადგილე, სატენდერო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე;

რევაზ ჯაველიძე - საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის უფროსის მოადგილე, სატენდერო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე;

გიორგი კაკაურიძე - საქართველოს ფინანსთა მინისტრის პირველი მოადგილე, სატენდერო კომისიის წევრი;

ზურაბ აზარაშვილი - საქართველოს თავდაცვის მინისტრის მოადგილე, სატენდერო კომისიის წევრი;

ნინო ენუქიძე - საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის მოადგილე, სატენდერო კომისიის წევრი;

ირაკლი ლეჟინაძე - სსიპ - საქართველოს კონკურენციის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარე, სატენდერო კომისიის წევრი;

აკაკი სალირაშვილი - საქართველოს იუსტიციის მინისტრის მოადგილე, სატენდერო კომისიის წევრი.

სხდომის მდივანი:

ქეთევან ქადაგიძე - სსიპ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ცენტრალიზებული შესყიდვების დეპარტამენტის უფროსი.

დღის წესრიგი:

2021 წლის განმავლობაში ზოგიერთი სახის საგანმანათლებლო დანიშნულებისათვის საჭირო ინვენტარის, კერძოდ, სხვადასხვა დასახელების საოფისე ავეჯის სახელმწიფო შესყიდვის მიზნით გამოცხადებული კონსოლიდირებული ტენდერის აუქციონის გარეშე (CON210000365) შეწყვეტის განხილვა.

განიხილეს:

სატენდერო კომისიის აპარატმა სატენდერო კომისიას მოახსენა შემდეგი ინფორმაცია:

საქართველოს საჯარო სკოლებისათვის, 2021 წლის განმავლობაში საჭირო სხვადასხვა დასახელების საოფისე ავეჯის

სახელმწიფო შესყიდვის მიზნით, 2021 წლის 30 ივნისს გამოცხადდა კონსოლიდირებული ტენდერი აუქციონის გარეშე (CON210000365), სადაც უმცირესი ფასის მქონე სატენდერო წინადადება წარმოადგინა შპს „ოთ-მა ფურნიტურემ“ (ს/ნ 422738201).

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, სატენდერო კომისიამ განიხილა შპს „ოთ-მა ფურნიტურეს“ მიერ წარმოდგენილი სატენდერო წინადადება და 2021 წლის 21 ივლისის № CON210000365-2 სხდომის ოქმის საფუძველზე, სხვადასხვა დასახელების საოფისე ავეჯის 2021 წლის კონსოლიდირებულ ტენდერში (CON210000365) გამარჯვებულ მიმწოდებლად გამოავლინა შპს „ოთ-მა ფურნიტურე“, ხოლო სატენდერო დოკუმენტაციით გათვალისწინებულ შემსყიდველ ორგანიზაციას, რომელზეც სავალდებულო წესით ვრცელდებოდა კონსოლიდირებული ტენდერის მოქმედება, მიეცა უფლება 2021 წლის განმავლობაში სხვადასხვა დასახელების საოფისე ავეჯის სახელმწიფო შესყიდვის მიზნით გამოცხადებული კონსოლიდირებული ტენდერის ფარგლებში (CON210000365) გაეფორმებინა სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება.

სხვადასხვა დასახელების საოფისე ავეჯის სახელმწიფო შესყიდვის მიზნით, კონსოლიდირებული ტენდერის ფარგლებში (CON210000365), 2021 წლის 09 აგვისტოს, სსიპ საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოსა და გამარჯვებულ მიმწოდებელ, შპს „ოთ-მა ფურნიტურეს“ შორის გაფორმდა სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება N320701/01/107.

„კონსოლიდირებული ტენდერის ჩატარების წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2018 წლის 14 დეკემბრის N14 ბრძანების 22-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, მიმწოდებლის მიერ საქართველოს კანონმდებლობითა და კონსოლიდირებული ტენდერის შედეგად ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან/და არაჯეროვანი შესრულების შემთხვევაში, შესაბამისი შემსყიდველი ორგანიზაცია მიმართავს სატენდერო კომისიას ხელშეკრულების შეწყვეტის თაობაზე საკითხის გადაწყვეტის მიზნით. გადაწყვეტილების მიღების დროს სატენდერო კომისია ხელმძღვანელობს პროპორციულობის, მიზანშეწონილობისა და თანაზომიერების პრინციპებით.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, „კონსოლიდირებული ტენდერის ჩატარების წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2018 წლის 14 დეკემბრის N14 ბრძანების 22-ე მუხლის პირველი პუნქტისა და N320701/01/107 ხელშეკრულების მე-12 მუხლის 12.7. პუნქტის შესაბამისად, 2021 წლის 4 ოქტომბერს, სსიპ საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტომ, ხელშეკრულების შეწყვეტის თაობაზე საკითხის გადაწყვეტის მიზნით, ელექტრონული დოკუმენტრუნვის საშუალებით, წერილობით მომართა (წერილი NN^o MES 9 21 0001022961, რომელიც თან ერთვის წინამდებარე სხდომის ოქმს) ზოგიერთი სახის საგანმანათლებლო დანიშნულებისათვის საჭირო ინვენტარის 2021 წლის კონსოლიდირებული ტენდერ(ებ)ის სატენდერო კომისიას, რათა საოფისე ავეჯის გარეშე დარჩენილი საჯარო სკოლების აღჭურვის უზრუნველსაყოფად, განახორციელოს სათანადო ღონისძიებების გატარება.

სატენდერო კომისიამ განიხილა შემსყიდველი ორგანიზაციის წერილობითი მომართვა, საიდანაც ირკვევა, რომ სხვადასხვა დასახელების საოფისე ავეჯის კონსოლიდირებულ ტენდერში (CON210000365) გამარჯვებული მიმწოდებელი, შპს „ოთ-მა ფურნიტურე“ ვერ უზრუნველყოფს ტენდერით გათვალისწინებული შესყიდვის ობიექტების მიწოდებას, სატენდერო დოკუმენტაციითა და ხელშეკრულებით განსაზღვრული გეგმა-გრაფიკის შესაბამისად. ამასთან, დღეის მდგომარეობით, შპს „ოთ-მა ფურნიტურეს“, მიწოდებული აქვს მხოლოდ 123 764.00 (ას ოცდასამი ათას შვიდას სამოცდაოთხი) ლარის ღირებულების საოფისე ავეჯი, რაც ჯამური მოცულობის დაახლოებით 7%-ს შეადგენს. როგორც წერილიდან ირკვევა, აღნიშნული საკითხის გადაწყვეტის მიზნით, შემსყიდველმა ორგანიზაციამ არაერთხელ მიმართა წერილობით შპს „ოთ-მა ფურნიტურეს“, რათა ჯეროვნად შეესრულებინა კონსოლიდირებული ტენდერით ნაკისრი ვალდებულებები და აღმოეფხვრა სახელშეკრულებო ვადებთან ჩამორჩენა.

სატენდერო კომისიამ სხდომაზე აღნიშნა, რომ „კონსოლიდირებული ტენდერის ჩატარების წესისა და პირობების შესახებ“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2018 წლის 14 დეკემბრის N14 ბრძანების 22-ე მუხლისა და CON210000365 კონსოლიდირებული ტენდერის აუქციონის გარეშე სატენდერო დოკუმენტაციის 10.1.18. ქვეპუნქტის შესაბამისად, მიმწოდებლის მიერ კანონმდებლობითა და კონსოლიდირებული ტენდერის შედეგად ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში, შემსყიდველი ორგანიზაციის მომართვის საფუძველზე, სატენდერო კომისია, უფლებამოსილია განიხილოს კონკრეტული ხელშეკრულების ან/და კონსოლიდირებული ტენდერის ფარგლებში გაფორმებული სხვა ხელშეკრულებ(ებ)ის შეწყვეტის საკითხი და ასევე, იმსჯელოს კონსოლიდირებული ტენდერის შეწყვეტის თაობაზე.

ყოველივე ზემოჩამოთვლილი გარემოებების გათვალისწინებით, სატენდერო კომისიამ იმსჯელა და მიზანშეწონილად მიიჩნია გასცეს მითითება კონსოლიდირებული ტენდერის აუქციონის გარეშე **CON210000365** ფარგლებში გამარჯვებულ მიმწოდებელსა და შემსყიდველ ორგანიზაციას შორის გაფორმებული ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ და მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის გამო, შემსყიდველმა ორგანიზაციამ იმოქმედოს ხელშეკრულების პირობების შესაბამისად.

ამასთანავე, „კონსოლიდირებული ტენდერის ჩატარების წესისა და პირობების შესახებ“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2018 წლის 14 დეკემბრის №14 ბრძანების 22-ე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, სატენდერო კომისიამ მიზანშეწონილად მიიჩნია შეწყდეს სხვადასხვა დასახელების საოფისე ავეჯის სახელმწიფო შესყიდვის მიზნით გამოცხადებული კონსოლიდირებული ტენდერი აუქციონის გარეშე **CON210000365**.

აღნიშნულთან დაკავშირებით შენიშვნები არ გამოთქმულა.

სატენდერო კომისიამ დაადგინა:

1. „კონსოლიდირებული ტენდერის ჩატარების წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2018 წლის 14 დეკემბრის N14 ბრძანების 22-ე მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტების შესაბამისად, შემსყიდველ ორგანიზაციას, სსიპ საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიეცეს მითითება შეწყვიტოს კონსოლიდირებული ტენდერის აუქციონის გარეშე (**CON210000365**) ფარგლებში, შპს „ოთ-მა ფურნიტურესთან“ გაფორმებული №320701/01/107 ხელშეკრულება და იმოქმედოს აღნიშნული ხელშეკრულების პირობების შესაბამისად.
2. „კონსოლიდირებული ტენდერის ჩატარების წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2018 წლის 14 დეკემბრის N14 ბრძანების 22-ე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, შეწყდეს სხვადასხვა დასახელების საოფისე ავეჯის სახელმწიფო შესყიდვის მიზნით გამოცხადებული კონსოლიდირებული ტენდერი აუქციონის გარეშე (**CON210000365**). ყველა შემსყიდველ ორგანიზაციას მიეცეს მითითება შეწყვიტოს აღნიშნული ტენდერის ფარგლებში გაფორმებული ხელშეკრულებები და იმოქმედონ ხელშეკრულების პირობების შესაბამისად.
3. დაევალოს სსიპ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს წინამდებარე ოქმის სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში ატვირთვა.
4. წინამდებარე ოქმის გასაჩივრება შესაძლებელია თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში, გადაწყვეტილების ვებ-გვერდზე გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი, № 6 (საფოსტო ინდექსი - 0131).

ოქმის რედაქცია შეთანხმებულია სატენდერო კომისიის წევრებთან ელექტრონული ფოსტის მეშვეობით.